



# საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ბ ა ნ ე ბ ა

№300 2013 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები)  
დამტკიცების თაობაზე

„პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული  
საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009  
წლის 4 ნოემბრის N203 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4  
მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს თანდართული  
პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები).



ირაკლი ღარიბაშვილი

# პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)

---

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	3
თავი I. სტრატეგიის მიზნები და სტრატეგიული ჩარჩო .....	4
1.1. სტრატეგიის მიზნები.....	4
1.2. მოსალოდნელი შედეგები.....	4
1.3. პრიორიტეტები .....	5
თავი II. პროფესიული განათლების არსებული გამოწვევები და მათი დამლევის ღონისძიებები .....	7
დანართები.....	23
დანართი 1. პროფესიული განათლების გარემო.....	23
დანართი 2 . პროფესიული განათლების მირითადი გამოწვევები .....	28
დანართი 3. სტრატეგიის დანერგვის ფინანსური ხარჯები .....	34
დანართი 4. სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა.....	35
დანართი 5. სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება .....	36
დანართი 6. სტრატეგიის განხორციელების შესახებ კომუნიკაცია და ინფორმირების ღონისძიებები .....	37
დანართი 7. სტრატეგიის დანერგვის რისკის შემცირების ღონისძიებები.....	38

## წინასიტყვაობა

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები) (შემდგომში - სტრატეგია) პროფესიული განათლების პოლიტიკის განვითარებისა დოკუმენტია.

სტრატეგია წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას საქართველოს პროფესიული განათლების სამომავლო განვითარების შესახებ.

სტრატეგია შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. მასში ასახულია დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, პროფესიული განათლების ადგილობრივი და საერთაშირისო სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების, სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ექსპერტული მოსაზრებები.

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები, რომელთაც ქვეყანაში სიღარიბის შემცირებას, თანასწორობასა და ინკლუზიურობაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბებას უნდა შეუწყონ ხელი; ასევე ქვეყნის ეკონომიკის დინამიურ ზრდასა და განვითარებასთან დაკავშირებული რეფორმები. სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ეროვნული და სექტორული პრიორიტეტები, განათლების, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების ამჟამინდელი გამოწვევები და მათი გადაჭრის ევროპული თუ სხვა ქვეყნების გამოცდილება. სტრატეგია მოიცავს ინკლუზიური განათლების, ადამიანის და ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს. სტრატეგიის მიხედვით საზოგადოების ყველა ფენის უფლებაა მიიღოს პროფესიული განათლება, მიუხედავად მისი ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, თუ საცხოვრებელი ადგილისა.

სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია პრიორიტეტები და მიზნები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას და თვითრეალიზებას) და შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას.

სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისათვის, გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მალისხმევისა, საჭიროა საქართველოს მთავრობის, სხვადასხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების და მთლიანად, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა რეფორმის პროცესში.

## თავი I. სტრატეგიის მიზნები და სტრატეგიული ჩარჩო

### 1.1. სტრატეგიის მიზნები

სტრატეგიის ზოგადი მიზნებია:

- მომდევნო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში;
- ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა ინდივიდუალურ და ეროვნულ დონეზე, ქვეყნის მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
- პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოების ყველა ფენისათვის, სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა

სტრატეგიის კონკრეტული მიზნებია:

- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის;
- მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

### 1.2. მოსალოდნელი შედეგები

ამ მიზნების გათვალისწინებით მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღწევა:

1. სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება მონაწილეობენ პროფესიული განათლების სისტემის მართვაში, პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მარეგულირებელი, მასტიმულირებელი, ფინანსურ-ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელება;
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი, მოქნილი ქსელი აერთიანებს ეფექტური დაფინანსებისა და მართვის მქონე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საგანმანათლებლო დაწესებულებებს; ქსელი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის მისი ასაკის, სქესის, ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფისადმი მიკუთნებულობის, საცხოვრებელი ადგილის, მენტალური თუ ფიზიკური შესაძლებლობისდა მიუხედავად;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს მზარდი და ცვალებადი შრომის ბაზრის, არსებულ და სამომავლო მოთხოვნებს შეესაბამება;
4. პროფესიული პედაგოგიური კადრები მომზადებულები არიან თანამედროვე მიდგომებისა და სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად; მათ კომპეტენციის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა აქვთ;
5. ჩამოყალიბებულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებაში ან თვითდასაქმებაში, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ;

6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები მომზადებულები არიან დასაქმებისათვის მათთვის საინტერესო, პროფესიებში, კარიერის შეძლები განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით;
7. პროფესიული განათლება მიმზიდველ და რეალურ საგანმანათლებლო ალტერნატივას წარმოადგენს საზოგადოების ფართო ფენებისათვის; ახალგაზრდებისათვის ის წარმოადგენს ზოგადი განათლების შემდგომი განათლების მიღების ალტერნატივას, ზრდასრულებისათვის - კარიერის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს და ახალ სპეციალობებში გადამზადების საშუალებას მათთვის, ვისაც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიის შეცვლა სჭირდება.

### 1.3. პრიორიტეტები

სტრატეგიის შედეგების მისაღწევად სტრატეგიაში შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებია განსაზღვრული:

- პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობის გაძლიერება შრომის ბაზრის და თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად:
  - საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება, მაღალი ხარისხის, ეფექტური მართვის უზრუნველყოფა;
  - კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება;
  - ბაზარზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
  - სისტემაში ე.წ. საგანმანათლებლო „ჩიხებისა“ და ბარიერების აღმოფხვრა;
  - პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის შესაძლებლობების გაძლიერება ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების დივერსიფიცირების გზით როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში;
  - ოპტიმალური საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც გეოგრაფიული, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების თვალსაზრისით; საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება.
- დაფინანსების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც კონკურენციის საფუძველზე ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსსმპ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, ბავშვები დარიბი ოჯახებიდან და ა.შ) მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება და განვითარება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; კომპეტენციის განვითარების მიზნით სისტემატური და სისტემური ტრენინგების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ასევე, პრატიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში; პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება და მიმზიდველობის გაზრდა; ახალი კადრების მოზიდვის, არსებული კადრების შენარჩუნების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- სოციალური პარტნიორების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა სისტემის ყველა დონეზე როგორც გადაწყვეტილებების მიღების, ასევე პროფესიული განათლების მთელ პროცესში: პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს, თემატური სამუშაო ჯგუფების, სოციალური პარტნიორების დაბალანსებული და

თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში; ყველა ერთეულის ფუნქციონირების გამჭირვალეობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, სისტემაში შესაბამისი რეგულაციებისა და პროცედურების განსაზღვრა და დახვეწა;

- პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება სისტემისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე; ეფექტური და ტრანსფერული კრედიტების სისტემის განვითარება, კვალიფიკაციების სერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარებისა და მობილობის უზრუნველსაყოფად; არაფორმალური (წინმსწრები) განათლების აღიარების სისტემის განვითარება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება (მათ შორის შშმ და სსსმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით), როგორიცაა: ხარისხიანი კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სისტემის უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; სტუდენტების დასაქმებისათვის საჭირო პროფესიული უნარების განვითარება პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში პრაქტიკის დროს;
- სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება დამსაქმებლებთან და ზოგადად, ბიზნესის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით; სტუდენტების აღჭურვა კონკრეტული სპეციალობისათვის საჭირო პროფესიული უნარებითა და საკვანძო კომპეტენციებით (სამეწარმეო უნარები, კომპიუტერული უნარები, კომუნიკაცია, უცხო ენა და სხვა), მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

## თავი II. პროფესიული განათლების არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ღონისძიებები

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პროფესიული განათლების გამოწვევების დაძლევის ღონისძიებებს. ეს გამოწვევებია<sup>1</sup>:

1. სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა სისტემის ყველა დონეზე (შესაბამის სტრუქტურებში), პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, პროფესიული განათლების ფორმირების პროცესში დაგეგმვიდან - შეფასებამდე;
2. სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სუსტი ქსელი, როგორც გეოგრაფული ხელმისაწვდომობის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების მრავალფეროვნების თვალსაზრისით; ქსელი აერთიანებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელთაც უმეტესად არასაკმარისი დაფინანსება და ნაკლებად ეფექტური მენეჯმენტი აქვთ, განსხვავებული სტანდარტებისა და ხარიხის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა.
3. საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან;
4. პროფესიული განათლების სფეროში პედაგოგიური კადრების მომზადების, პროფესიული განათლების მასწავლებლის (როგორც თეორიულის, ასევე პრაქტიკულის) პროფესიაში შესვლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების სისტემის არარესტობა;
5. დაბალი და განსხვავებული ხარისხის პროფესიული კვალიფიკაციები; დამსაქმებლებისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების მხრიდან კვალიფიკაციების აღიარების პრობლემა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
6. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმების განსხვავებული პერსპექტივები მაღალანაზღაურებად და პიროვნულად საინტერესო პოზიციებზე კარიერის შემდგომი განვითარების პერსპექტივით;
7. პროფესიული განათლება ნაკლებად მიმზიდველი და წამახალისებელი ალტერნატივაა მოსახლეობისათის; დამსაქმებლები კადრების შერჩევისას პროფესიულ განათლებას შერჩევის წინაპირობად ნაკლებად განიხილავენ.

არსებული გამოწვევების წარმატებით დაძლევამ უნდა განაპირობოს სტრატეგიაში განსაზღვრული შედეგების მიღწევა, ხოლო სტრატეგიის დანერგვის შედეგად - დასახული მიზნების განხორციელება. ეს მიზნებია: შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოქნილი, ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

**შედეგი N1.** სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება მონაწილეობენ პროფესიული განათლების სისტემის მართვაში, პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მარეგულირებელი, მასტიმულირებელი, ფინანსურ-ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელება

მნიშვნელოვანია სოციალური პარტნიორების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, როგორც თანასწორი პარტნიორების ჩართვა პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესში. სოციალურ პარტნიორებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ არსებითი როლი და პასუხისმგებლობა აკისრიათ სისტემის წარმატებულ

<sup>1</sup> პროფესიული განათლების არსებული გამოწვევების დეტალური ანალიზი მოცემულია დანრთში 2.

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)

ფუქციონირებაში, რაც უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ დამსაქმებლებმა მიიღონ შრომის ბაზრის შესაბამისად მომზადებული, კომპეტენტური კადრები (რაც ხელს შეუწყობს საწარმოების განვითარებას), ხოლო კურსდათავრებულები დასაქმდნენ მდგრად და მაღალანაზღაურებად პოზიციებზე (რაც ხელს უწყობს მათ პიროვნულ განვითარებას და მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლების მიღებას). ამისათვის არსებითა პროფესიული განათლების და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს, დარგობრივი საბჭოების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების, სამუშაო ჯგუფების შემადგენლობის დაბალანსება, სოციალური პარტნიორების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც პროფესიული განათლების განვითარების ზოგადი ხედვის ჩამოყალიბების, ასევე მისი მიღწევის გზების ძიების პროცესში. არანაკლებ მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბება და იმ პროცესების ხელშეწყობა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მათ შორის კონსენსუსის მიღწევა. დამსაქმებლები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პროფესიული განათლების ფორმირების ყველა დონეზე. მნიშვნელოვანია მათთვის სხვადასხვა წამახალსებელი ინიციატივების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს რესურსების მობილიზებას (თანამშრომელთა მიერ მეტი დროის გამოყოფა, სამუშაო გარემოს შეთავაზება, პრაქტიკა, სამუშაოსთან დაკავშრებული ტრენინგების შეთავაზება, პროგრამებში მონაწილეობა და დაფინანსება) და შედეგად - პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური ფუნქცია აკისრია პროფესიული განათლების სისტემის მართვაში და სჭირდება შესაბამისი რესურსები, რათა ეფექტურად უზრუნველყოს სისტემის მართვა და მონიტორინგი, ინფორმაციის მობილიზება და გაცვლა (სტატისტიკა, ანალიზი, ინდიკატორების მიხედვით შეგროვებული ინფორმაცია). არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან დასახული მიზნების მიღწევის ღონისძიებების რეგულარული შეფასება, სადაც საჭიროა მიდგომების გადახედვა და შესწორებების შეტანა.

ამოცანები	აქტივობის სფერო
1.1. სოციალური პარტნიორების მონაწილეობა პროფესიული განათლების პოლიტიკის განსაზღვრაში, პროფესიული განათლების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სისტემის ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური პარტნიორების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ეფექტური მექანიზმის დანერგვა;</li> <li>2. იმ სტრუქტურათა (პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო, დარგობრივი საბჭოები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოები) დაბალანსებული შემადგენლობის უზრუნველყოფა და შესაძლებლობების გაძლიერება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საგანმანათლებლო სისტემას, ბიზნეს საზოგადოებასა და შრომის ბაზრის წარმომადგენლებს შორის დიალოგის წარმართვაზე და პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაზე;</li> <li>3. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა (საჯარო და კერძო) და სოციალურ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, პროფესიული განათლების მთელი პროცესის განმავლობაში (ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე): საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; სასწავლო პროცესის წარმართვა; მართვის შესაძლებლობების გაძლიერება; ხარისხიანი, თანამედროვე საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა რეალურ სამუშაო გარემოში; სწავლების პროცესის მონიტორინგი; მონაწილეობა კვალიფიკირების მინიჭების პროცესში და სხვ.</li> </ol>
1.2. საქართველოს განათლებისა და	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მდგრადი და ეფექტური კოორდინაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და დაინტერესებულ მხარეებს</li> </ol>

<p>მეცნიერების სამინისტროს მიერ</p> <p>პროფესიული განათლების რეფორმის მართვა და კოორდინირება</p>	<p>შორის, პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოსა და მისი თემატური სამუშაო ჯგუფების დახმარებით ;</p> <p>2. დონორებისა და პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მდგრადი და სისტემატური კოორდინირება;</p> <p>3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა (პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი) და საჯარო სამართლის იუირდიული პირების (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვ.) მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობის გაძლიერება და ეფექტურობის გაზრდა;</p>
<p>1.3 ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (სტატისტიკა, ინდიკატორები და ანალიზი) მონიტორინგის, რეგულაციასა და მტკიცებულებებზე ე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით</p>	<p>1. ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პროფესიული განათლების სექტორში მიმდინარე ძირითადი პროცესების, სისტემის, სოციალური და ეკონომიკური ინდიკატორების შესახებ;</p> <p>2. მონაცემების უწყვეტი ანალიზი მონიტორინგის მიზნით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად პოლიტიკის განვითარების, დაგეგმვის, დანერგვისა და რეგულაციის საკითხებზე;</p> <p>3. ინფორმაციის რეგულარული გაცვლა: დაინტერესებული მხარეების საქმიანობის მხარდაჭერისა და დონორების ინტერვენციის ეფექტურობის შეფასების მიზნით; ინფორმაციის გაცვლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მისი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნულ პროფესიულ საბჭოს, სამოქალაქო საზოგადოებას შორის.</p>

**შედეგი N2.** ერთანი, მოქნილი ქსელი აერთიანებს ეფექტური დაფინანსებისა და მართვის მქონე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ პროფესიული განათლების პროვაიდერებს; ქსელი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის მისი ასაკის, სქესის, ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფისადმი მიკუთნებულობის, საცხოვრებელი ადგილის, მენტალური თუ ფიზიკური შესაძლებლობისდა მიუხედავად

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საგანმანათლებლო დაწესებულებების ოპტიმალური ქსელის ჩამოყალიბებას, რომელიც გააერთიანებს ხარისხიანი რესურსებით, შრომის ბაზრის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით აღჭურვილ დაწესებულებებს. ქსელი ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. უნდა ჩამოყალიბდეს არსებული ქსელის გაფართოების გეგმა. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გეოგრაფიული და ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, არამედ ფინანსურიც, განსაკუთრებით კი - საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მეჩერად დასახლებული რეგიონებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მხოლოდ შრომის ბაზრის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება არ არის საკმარისი (სახელმწიფო და კერძო კოლეჯების მხრიდან), არამედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურება. უნდა ჩამოყალიბდეს მოქნილი მიღება; რეგულარული და საღამოს კურსები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ადგილობრივ სკოლებში თუ სხვა დაწესებულებებში ან საკომუნიკაციო სისტემების ხელმისაწვდომობის მიხედვით შეიქმნას ელექტრონული კურსები, სატელეფონო კონფერენციები, მობილური კურსები; სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების სასწავლებლად უნდა გამოიყოს სტიპენდიები.

საერთო ჯამში მნიშვნელოვანია მოქნილი მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც სკოლის მოსწავლეების და მოზარდების, ასევე ზრდასრულების არსებულ და სამომავლო საჭიროებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაძლიერების გარდა სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საკითხს. მაშინ როდესაც სახელმწიფო და კერძო სასწავლებლების ნაწილი წარმატებით მართავს დაწესებულებას და ეფექტური პროფესიული სერვისები აქვს, ბევრი მათგანის რესურსები შეზღუდულია. სტრატეგიაში განსაკურებული ადგილი უკავია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტის გაუმჯობესებას, როგორიცაა: პრიორიტეტების განსაზღვრა, ფონდების მოზიდვა და განკარგვა; სამეთვალყურეო საბჭოების შემადგენლობა, მათი როლი და ფუქნციები; შიდა კომუნიკაცია მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის; გარე კომუნიკაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივ და უცხოულ ბიზნეს წარმომადგენლებთან, სოციალურ პარტნიორებთან, დამსაქმებლებთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

ხარისხის სტანდარტები ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებით რეგულირდება; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის შეფასების არსებული სტანდარტები მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს მოიცავს. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური გაძლიერება, რათა შესაძლებელი გახდეს ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება როგორც ამჟამად, ასევე საშუალო ვადიანი პერსპექტივით. ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა დიდწილადაა დამოკიდებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხზე და სწავლების პროცესზე. თუმცა, ასევე საჭიროა თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მატრიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე და სამომავლო ტექნოლოგიები, სამუშაო გარემოსთან მჭიდრო კავშირი ან ბიზნეს ორგანიზაციების დახმარებით ან თავად საგანმანათლებლო დაწესებულებებში კარგად აღჭურვილი სახელოსნოებისა და ლაბორატორიების შექმნა. საგანმანათლებლო რესურსები უნდა ასახავდეს თანამედროვე ტექნოლოგიებს და აკმაყოფილებდეს მაღალ სტანდარტებს.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ინოვაციური საგანმანათლებლო სივრცის შექმნა პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მოტივირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რაც ასევე ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო სექტორის მხრიდან პროფესიული განათლების ხარისხის აღქმას. შშმ და სსსმ პირების არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვილობის უზრუნველყოფის მოქნილი მექანიზმი, თუმცა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ სტანდარტს უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით (მაგ: პანდუსები და სხვა). არანაკლებ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური სივრცის მომზადება დიფერენცირებული სწავლებისათვის, სწავლების ხელშეწყობისათვის, თვით-სწავლებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია სოციალურად და ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფებისა და გეოგრაფიულად დაშორებული მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილისა და ჯანდაცვის პაკეტის უზრუნველყოფა. ამ საკითხსვე უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს განათლების ინკლუზიურობას.

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგანმანათლებლო დაწესებულებების ცენტრალურ სფეროებში ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაძლებლობების გაძლიერებას (მართვა, ადმინისტრაციული და სხვა), შიდა და გარე კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესებას.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მომავალი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დაფინანსების ეფექტური მექანიზმების შემუშავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორის მოტივირება, რამაც პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოვებას უნდა შეუწყოს ხელი. ბოლო წლებში დაფინანსების სხვადასხვა წყარო მოიძებნა, მაგრამ სწრაფმა ცვლილებამ და შეფასების ნაკლებობამ სექტორში გარკეული არასტაბილობა გამოიწვია, ხელმისაწვდომობაზე პრობლემები შეიქმნა და ახალი კერძო ინვესტიცებიც შეაფერხა. სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაფინანსების ეფექტური მოდელის შემუშავებას საშუალო ვადიან პერიდში, რომელიც (1) ხელს შეუწყობს დაფინანსების

წყაროების გაფართოებას, ფონდების გენერირებას, მათ შორის კერძო სექტორიდან; (2) უზრუნველყოფენ დაფინანსების ეფექტურ განაწილებას - ფონდების განაწილება ინსტიტუტებს, დისციპლინებსა და პროგრამებს შორის; (3) უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების ეფექტურ და ეფექტურ მართვას, (4) ხელს შეუწყობენ მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობას მთელ რიგ საგანმანათლებლო პროგრამებზე (სოციალური თანასწორობის პრინციპების დაცვა). თავდაპირველად საჭიროა არსებული ვაუჩერული დაფინანსების შეფასება და ეფექტური დაფინანსების მოდელის მიება, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების რეფორმის მიზნების და სტრატეგიაში განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

ამოცანები	აქტივობის სფერო
2.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გაუმჯობესება მიწოდების ეფექტურობის გაზრდის მიზნით	<ol style="list-style-type: none"> <li>პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პრფესიული საბჭოს შესაძლებლობების (მისი შემადგენლობის ჩათვლით) გაძლიერება,</li> <li>საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული და თანამშრომლების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება ინსტიტუციური და ფინანსური მართვის, ხარისხის მართვის, სოციალურ პარტნიორებთან მუშაობასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;</li> <li>გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების გაუმჯობესება (რაც სტრატეგიული მნიშვნელობისაა პროფესიული განათლების განვითარებისთვის) დაფინანსების, შრომის ბაზრის კვლევის, კვალიფიკაციათა შემუშავების, ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და შეფასების, ინკლუზიური განათლების სფეროებში საგანმანათლებლო დაწესებულებების, ადგილობრივ, ქვეყნის და რეგიონალურ დონეზე;</li> <li>ადმინისტრაციული კადრების შერჩევის და შესაძლებლობების გაუმჯობესების ეფექტური მექანიზმების შემუშავება, ადამიანური რესურსების დინამიური განვითარების სისტემის ჩამოყალიბება (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების)</li> </ol>
2.2. ინოვაციური და თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა	<ol style="list-style-type: none"> <li>სასწავლებლების საუკეთესო საშუალებებითა და ტექნიკით აღჭურვა (სახელოსნოები, ლაბორატორიები, საკლასო ოთახები უცხო ენებისთვის, კომპიუტერული ოთახები და სხვა), შესაბამისი სტანდარტების, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებისა და არსებული და სამომავლო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;</li> <li>მაღალი ტექნოლოგიების შეთავაზება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში (ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი), საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში თუ მაღალტექნოლოგიურ კომპანიებში პრაქტიკის დროს;</li> <li>პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების (შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები) გათვალისწინებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობისა და მიწოდების გაუმჯობესება უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვით;</li> <li>საგანმანათლებლო რესურსების მომზადება პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის;</li> <li>თანამედროვე სასწავლო დამხმარე საშუალებების შემუშავება ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე პირისათვის;</li> <li>საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სსსმ და შშმ პროფესიული</li> </ol>

	<b>სტუდენტებისათვის;</b>
<p><b>2.3. შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ქსელის შექმნა, რეგიონული განვითარებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ეფექტურობის გაზრდა ქვეყნის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;</li> <li>პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა;</li> <li>პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის ეროვნულ და რეგიონულ საჭიროებებთან ჰარმონიზაცია;</li> <li>პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა რეგიონების მიხედვით;</li> <li>ადგილობრივი თვითმმართველობის წახალისება, მონაწილეობა მიღლოს პროფესიული განათლების ფორმირების მთელ პროცესში.</li> </ol>
<p><b>2.4. პროფესიული განათლების დივერსიფიცირებული სისტემის შექმნა და ყველა მოქალაქისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელმისაწვდომობა</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის პოლიტიკის გადახედვა და საჭიროების შემთხვევში შეცვლა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროების გათვალისწინებით;</li> <li>სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდა ყველა მოქალაქისთვის, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ეროვნების, სქესის, ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობის მიუხედავად; ასევე სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების (დევნილები, დევნილების მიმღები მოსახლეობა, პრობაციონერები და ამ სისტემის სხვა წარმომადგენლები, ღარიბი ოჯახების წარმომადგენლები, რეგიონების მოსახლეობა, ეთნიკური უმცირესობები და სხვ.) პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვა;</li> <li>პროფესიული განათლების (მომზადება და გადამზადება) მოქნილობის უზრუნველყოფა - ელექტრონული, მოკლევადიანი, საღამოს კურსების შეთავაზება, სამუშაო ადგილზე გადამზადება, კომპანიებში ტრენინგი და ა.შ;</li> <li>ინფრასტრუქტურის ადაპტირება (აღჭურვილობა და ინვენტარი) შშმპ და სსსმპ-თვის უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით;</li> <li>სამუშაო ადგილზე ადაპტაციისთვის საჭირო საკვანძო კომპეტენციების განვითარება, პიროვნების სოციალური და პიროვნული განვითარების უზრუნველყოფა;</li> <li>საგანმანათლებლო დაწესებულებებში გენდერული ბალანსისა და მოწყვლადი ჯგუფების თანასწორობის უზრუნველყოფა;</li> <li>ღონისძიებების განხორციელება პროფესიული განათლების ადრეულ ეტაპზე მიტოვების მაჩვენებლის შესამცირებლად;</li> </ol>
<p><b>2.5. რელევანტური და ეფექტური დაფინანსების მოდელების შემუშავება და დანერგვა</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>პროფესიული განათლების დაფინანსების გაზრდა სახელმწიფო და კერძო წყაროებიდან;</li> <li>პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსების არსებული უნივერსალური ვაუჩერული სისტემის გადახედვა და შესაბამისი მოდელების განვითარება:</li> <ol style="list-style-type: none"> <li>ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არსებული პროფესიული განათლების პროგრამების დანახარჯების შესახებ პროგრამული დანახარჯების დათვლის გზით;</li> <li>პროფესიული პროგრამების დივერსიფიცირება დანახარჯების დონეების (დაბალი, საშუალო, მაღალი) მიხედვით;</li> </ol> </ol>

	<p>3. სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება პროფესიული განათლების დაფინანსების წესის რეგულირებისთვის;</p> <p>3. პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემის დივერსიფიცირება დაფინანსების ალტერნატიული ან დამატებითი წყაროების მოზიდვით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა სწავლების პროცესში მოთხოვნაზე ორიენტირებული მოკლე თუ გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებაში ;</li> <li>2. პროფესიული სტუდენტებისათვის სტუდენტური სესხებით დაფინანსების ხელშეწყობა;</li> <li>3. პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის მონაწილეობის სტიმულირებისათვის კონკრეტული მექანიზმების შემუშავება;</li> <li>4. დაფინანსების ეფექტური ხარჯების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;</li> <li>5. საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების გატარება პროფესიული განათლების დაფინანსების მექანიზმების გასაუმჯობესებლად;</li> <li>6. შესაძლებლობების გაძლიერება დაფინანსების დივერსიფიცირებული მოდელის დასანერგვად.</li> </ol>
--	---

**შედეგი N3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს მზარდი და ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების (არსებული და სამომავლო) შესაბამისია**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა პროფესიული განათლების პროგრესისა და მოდერნიზების საუფასებლია. თანამედრომე ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტს ესაჭიროება კომპლექსური, პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარება, რისი მიღწევაც შესაძლებელია ყოველისმომცველი და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამებით.

შრომის ბაზრის კვლევა უნდა მიმდინარეობდეს როგორ სისტემის, ასევე რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. გრძელვადიანი გეგმის შესამუშავებლად საჭიროა სისტემის დონეზე პროცესების ინსტიტუციონალიზაცია, პროფესიული განათლების სისტემასთან ინტეგრირება, სხვადასხვა პარტნიორებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართვა. ერთ-ერთი ინიციატივაა ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს დაარსება შრომის ბაზრის ანალიზისა და პროგნოზირებისათვის.

პროფესიული სტანდარტები, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველია, უნდა შემუშავდეს სექტორის, პროფესიისა და სამუშაოს ანალიზის საფუძველზე სტანდარტული მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში წამყვანი როლი დამსაქმებლებმა დასაქმებულებთან ერთად უნდა შეასრულონ. ამ პროცესებში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ დარგობრივი საბჭოები, რომლებიც თავის მხრივ თანამშრომლობენ პროფესიულ სტანდარტებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფებთან; ყოველი პროფესიული სტანდარტი უნდა დაუკავშირდეს პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (და შესაბამის კვალიფიკაციის) კონკრეტულ საფეხურს და დაეფუძნოს სწავლის შედეგებს. ამ პროცესისათვის მნიშვნელოვანია დარგობრივი საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერება.

საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობისათვის, იმისათვის რომ გაიზარდოს მისი შრომის ბაზართან თუ პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილებებთან შესაბამისობა, სწავლის შედეგებზე ორიენტირებული, მოდულარული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შემუშავდეს. ამგვარი მიღვომა ხელს შეუწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების სისტემის ჩამოყალიბებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მომზადდეს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით: სწავლების ორიენტაცია შედეგებზე, სასწავლო-

სამეცნიერო პარტნიორობის ხელშეწყობა, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, ორიენტაცია პრაქტიკაზე. პროგრამები გაანგარიშებული უნდა იყოს კრედიტებში; გარკული კრედიტების დაგროვებით შესაძლებელი უნდა იყოს კვალიფიკირების მინიჭება ან განათლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა. ასევე, ცალკული მოდულების საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს პროფესიული გადამზადების ორგანიზება, ზრდასრულთათვის მოქნილი განათლების უზრუნველყოფა - საღამოს, დისტანციური და ა.შ. სწავლება. მოდულარული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისა და დანერგვისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი რესურსების მობილიზება, შესაძლებლობების გაძლიერება სისტემისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე. შრომის ბაზარი დინამიურია და პროფესიასთან დაკავშირებული მოთხოვნებიც იცვლება, რაც როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე სწავლებისათვის რესურსების უწყვეტი განახლებას მოითხოვს.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების გარდა (იხ. გამოწვევა 4) საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამაზე მომუშავე პროფესიონალებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, დაინტერესებული მხარეების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში, სამუშაო გარემოში მიმდინარე ცვლილებების უწყვეტი განხილვა (განსაკუთრებით სადაც თანამედროვე ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და იცვლება); ამდენად, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი მონიტორინგი და ცვლილებების სწრაფად ასახვა მთელს საგანმანათლებლო ქსელში.

ამოცანები	აქტივობის სფერო
3.1. შრომის ბაზრის ანალიზი	<ol style="list-style-type: none"> <li>რეგულარული ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის დანერგვა;</li> <li>პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის (ეროვნული და რეგიონალური) ხელმსაწვდომობა;</li> <li>სამუშაოსთან დამაკავშირებელ მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომობა (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საშუალებით);</li> <li>უნარებზე არსებული მოთხოვნის შესწავლის სისტემის განვითარება (პროფესიულ სტანდარტებზე და საგანმანათლებლო პროგრამებზე მომუშავეთა ინფორმირების მიზნით);</li> </ol>
3.2. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტების შემუშავება	<ol style="list-style-type: none"> <li>პროფესიული სტანდარტების მომზადება რეგიონული საჭიროებებისა და სექტორული ანალიზის საფუძველზე დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით;</li> <li>კერძო სექტორის აქტიური და სისტემატური მონაწილეობის უზრუნველყოფა პროფესიული სტანდარტების შემუშავების პროცესში;</li> <li>დარგობრივი საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული სტანდარტების განხილვასა და მონიტირინგში;</li> <li>პროფესიულ კვალიფიკაციათა/პროფესიულ სპეციალიზაციათა ნუსხის სისტემატური განახლება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა განათლების სხვა საფეხურებსა და საერთაშორისო ჩარჩოებთან.</li> </ol>
3.3. შრომის ბაზრის შესაბამისი მოქნილი, კომპეტენციებს დაფუძნებული პროფესიული	<ol style="list-style-type: none"> <li>მოდულარული, კრედიტებში გაანგარიშებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, სწავლების შედეგების საფუძველზე;</li> <li>კერძო სექტორის აქტიური და სისტემატური მონაწილეობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში;</li> <li>საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელი</li> </ol>

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება	<p>კადრების შესაძლებლობების გაუმჯობესება;</p> <p>4. ძირითადი კომპეტენციებისა (კომუნიკაცია, უცხო ენები, ისტორია, კულტურათაშორისი უნარ-ჩვევები და სხვ.), კულტურათაშორისი კომპეტენციების და კარიერის განვითარების უნარ-ჩვევების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამებში ;</p> <p>5. საგანმანათლებლო პროგრამებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, თანამედროვე სწავლებისა და შეფასების მეთოდების ინტეგრირება;</p> <p>6. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას ნაწილობრივი კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობის გათვალისწინება იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც ირიცხებიან პროგრამიდან ან დროებით წყვეტენ სწავლას, გადადიან სხვა საგანმანათლებლო/სამუშაო მიმართულებით და სხვა .</p>
3.4. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და სასწავლო მასალების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებთან	<p>1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტებთან;</p> <p>2. დამატებითი საჭიროებების განსაზღვრა ხარისხიანი სწავლებისა და უნარების განვითარების უზრუნველსაყოფად;</p> <p>3. მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობის მონიტორინგი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით და ხარისხიანი სწავლებისა და უნარების განვითარება;</p> <p>4. აღჭურვილობისა და მასალების ხელმისაწვდომობის მონიტორინგი საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების მიხედვით</p>

**შედეგი N4.** პროფესიული განათლების მასწავლებლები მომზადებულები არიან თანამედროვე მიდგომებისა და სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად; მათ კომპეტენციის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა აქვთ, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიციურ დონეზე მომზადებას

შემდგომი სფერო, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხსა (შედეგი 2) და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას უკავშირდება (შედეგი 3), სწავლების ხარისხია. სტრატეგიაში განსაკურებული ადგილი უკავია პროფესიული პედაგოგიური კადრების მომზადებასა და ისეთი მექანიზმების დანერგვას, როგორიცაა პროფესიული განათლების მასწავლებლების სისტემაში შევსლის ხელშეწყობა (მაგ. უფრო დაცული კონტრაქტები), უწყვეტი პროფესიული განვითარება სწავლების თანამედროვე მიმართულებების შესაბამისად და საუკეთესო პროფესიული განათლების მასწავლებლების სისტემაში დარჩენის წახალისება. ზოგადად, უმნიშვნელოვანებია პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის ამაღლება (უკავშირდება შედეგს 7). გამოცდილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ცდილობენ განათლების იმ სფეროში დასაქმდნენ, სადაც დასაქმება უდრო მდგრადია, შემოსავალი და სტატუსი კი - მაღალი. პროფესიული განათლების სისტემა უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს როგორც ახალბედა, ასევე ბაზარზე მომუშავე კვალიფიციური კადრებისათვის. მნიშვნელოვანია გადაიხედოს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა აქტამინდელი კონტრაქტებისა და ანაზღაურების სქემები, პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, უნარების განახლების პერიოდი, პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის პროფესიაში მიმდინარე ცვლილებების გაცნობა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა (ორივე შემთხვევაში გამოცდილების გაუმჯობესება უნდა ხდებოდეს სწავლების საშუალებების, აღჭურვილობისა და მასალების გაუმჯობესებასთან ერთად (შედეგი 2).

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პრიორიტეტული გახდეს ყველა დონეზე, როგორიცაა: პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადება, უწყვეტი პროფესიული განვითარება, საგნობრივი მომზადება, როგორც კურსის ფარგლებში, ასევე პროფესიული განვითარების პერიოდში.

მნიშვნელოვანია სწავლების ყველა დონეზე დივერსიფიცირებული და თანამედროვე მეთოდების გამოყენება (მათ შორს ვირტუალური და სიმულაციური), თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის განვითარება. საგანმანთლებლო პროგრამების დანერგვისათვის საჭიროა მინიმალური აღჭურვილობის სტანდარტის დადგენა და მექანიზმების განსაზღვრა მათი დაკამაყოფილების გადასამოწმებლად. აუცილებელია ერთიანი ჩარჩოს შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებასა და ხარისხს. ეს მნიშვნელოვანია სექტორის ფარგლებში სწავლების ხარისხის უნიფიცირებისათვის, მსგავსი ხარისხის განათლების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთსა და იმავე საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სოციალური პარტნიორების სისტემაში ჩართვა (შედეგი 1) შესაძლებელია ბიზნესისა და პროფესიული კავშირების მონაწილეობის ხელშეწყობით საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისა და მონიტორინის პროცესში. საგანმათლებლო დაწესებულებებს ფინანსური საკითხების გამო ყოველთვის არ შეუძლიათ მაღალი ხარისხის ტექნოლოგიების შეთავაზება, რაც შეიძლება საწარმოო პრაქტიკის ან სამუშაო გამოცდილების მიღების პროცესში ბიზნესთან თანამშრომლობით კომპენსირდეს. ამ მიზნით მნიშვნელოვანია მინიმალური სტანდარტების განსაზღვრა, რის საფუძველზეც მოხდება კერძო სექტორის ჩართვა პრაქტიკის პროცესში.

ამოცანები	აქტივობის სფერო
4.1. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების და განხორციელება;	<ol style="list-style-type: none"> <li>პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების სისტემის შექმნა;</li> <li>პროფესიულ განათლებაში მასწავლებლის სტანდარტისა და პროფესიაში შესვლის პირობების დადგენა;</li> <li>პროფესიულ პედაგოგიკაში პროფესიული განათლების მასწავლებლის გზამკვლევის მომზადება;</li> <li>ახალი პედაგოგიური კადრების სისტემაში შესვლის სტიმულირება, დასაქმების კონკურენტული პირობების უზრუნველყოფა;</li> <li>პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მასწავლებლის სტატუსის ამაღლების, ფინანსური წახალისებისა და პროფესიაში დარჩენის მიზნით;</li> <li>პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსამზადებლად მაღალი ხარისხის აკრედიტირებული პროგრამების /მოდულების შემუშავება;</li> <li>პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი ინკლუზიური განათლების დანერგვის შესახებ სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესში;</li> <li>პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაძლებლობების უწყვეტი ამაღლება (მაგ. ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები, სასწავლო ტურები, მუშაობის გამოცდილება) მეთოდოლოგიურ და პროფესიულ სფეროებში, ზრდასრულთა განათლების ჩათვლით;</li> <li>პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება კომპანიებში, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების განხორციელების ფაზაში;</li> <li>პროფესიული განათლების მასწავლებელთა შორის კომუნიკაციის ქსელების გაძლიერება, მათ შორის გამოცდილების გაცვლისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;</li> <li>პროფესიული განათლების მასწავლებელის მონაცემთა ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება მასწავლებელთა ტრენინგის შესახებ და კარიერული განვითარების აქტივობებში მასწავლებელთა უწყვეტი მონაწილეობის უზრუნველყოფა;</li> <li>პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ კომპეტენციის ამაღლების სტიმულირება.</li> </ol>

<p><b>4.2. მაღალი ხარისხის სწავლებისა და შეფასების პროცესის უზრუნველყოფა</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისათვის საჭირო მინიმალური აღჭურვილობის ნორმატივების შემუშავება;</li> <li>2. მაღალი ხარისხის სწავლების მექანიზმების უზრუნველყოფა სწავლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;</li> <li>3. ქსელური მუშაობის მექანიზმების ჩამოყალიბება რეალურ სამუშაო გარემოსთან მიახლოვებული სასწავლო პრაქტიკისა (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება) და ხარისხიანი საწარმოო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად;</li> <li>4. კერძო სექტორისათვის მინიმალური სტანდარტის განსაზღვრა საწარმოო პრაქტიკის პროცესში მონაწილეობის მისაღებად;</li> <li>5. კერძო სექტორის აქტიური და სისტემატური მონაწილეობის უზრუნველყოფა სწავლების (პრაქტიკა) და გამოცდების პროცესში;</li> <li>6. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე;</li> <li>7. სწავლების ინოვაციური მიღებობების დანერგვა;</li> <li>8. ძირითადი კომპეტენციებისა და კარიერის მართვის უნარ-ჩვევების გაერთიანება სასწავლო პროცესში, შესაბამისი შეფასების მეთოდების უზრუნველყოფა;</li> <li>9. უნარების შესაფასებლად კომპეტენციებს დაფუძნებული შეფასების სისტემის შემოღება;</li> <li>10. საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების სქემების შემუშავება და შეფასების ხარისხის ამაღლება (მიმდინარე და შემაჯამებელი);</li> <li>11. აქტივობების განხორციელება საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთსწავლებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით (კოლეგებისაგან სწავლება, ე.წ. peer review).</li> </ol>
--	--

**შედეგი N5. ჩამოყალიბებულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებაში ან საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ**

მაღალი ხარისხის პროფესიული განათლება ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისა და ეკონომიკის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. იმისათვის, რომ პროფესიულმა განათლებამ დააკმაყოფილოს როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნები, ასევე დამსაქმებელთა მოლოდინები, მნიშვნელოვანია მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარება და კვალიფიკაციების შესაბამისობა აპლიკანტების უნარებთან. კვალიფიკაციები ასევე მნიშვნელოვანია თვითდასაქმებულებისათვის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და ბიზნესის განვითარებისათვის. საჭიროა პროფესიული კვალიფიკაციების უწყვეტი განხილვა/გადახედვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კვალიფიკაციების შრომის ბაზართან შესაბამისობას, კურსდამთავრებულების პიროვნულ განვითარებას ან სწავლების გაგრძელების შესაძლებლობას.

პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭებას და შესაბამისობას მჭიდროდ უკავშირდება წინმსწრები განათლების, არაფორმალური პროფესიული განათლების, სამუშაოზე ან/და ნებისმიერ ადგილას მიღებული გამოცდილების აღიარება. საკანონმდებლო საფუძველი მეტ-ნაკლებად მომზადებულია, თუმცა სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამგვარი ცოდნის თუ უნარების აღიარების ვალიდური მიღებების დანერგვას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კომპეტენციების გაუმჯობესებას და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღებას. ეს განსაკუთრებით ეხება დაბალკვალიფიკაციურ კადრებს, უმუშევარ მოსახლეობას და პირებს, რომელთაც მოუწიათ სწავლის მიტოვება კვალიფიკაციის მიღების გარეშე. მნიშვნელოვანი საკითხია სამუშაოზე მიღებული გამოცდილების თუ საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარება.

ევროპული მიდგომა ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობას ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, რაც მოიცავს მოდელებისა და მეთოდების, საერთო პრინციპების ურთიერთგაზიარებას. სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომა უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს ევროპულ გამოცდილებას როგორც სისტემის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნებთან და პროვაიდერებთან თანამშრომლობის გზით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება სისტემატური მიდგომის საფუძველზე უნდა მოხდეს: დაგეგმვა, დანერგვა, შეფასება და განახლება. მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის გარე (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) და შიდა მექანიზმების გაუმჯობესება, პროფესიული კავშირების და ორგანიზაციების მეტად ჩართვა პროფესიული კვალიფიკაციების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გამოცდილების დაგროვებისა და თვითშეფასების საფუძველზე თანდათან უნდა დაიწყონ ეფექტური ფუნქციონირება, საგანმანათლებლო პროგრამები და შედეგად, კვალიფიკაციებიც უფრო მოქნილი და შრომის ბაზრის შესაბამისი უნდა გახდეს. თვითშეფასების შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება სტრატეგიაში ეფექტური პროფესიული განათლების მნიშვნელოვან კომპონენტადაა განხილული.

საერთაშორისო მობილობასა და გაცვლით პროგრამებში უფრო მეტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული სტუდენტებისა თუ პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართვა ხელს შეუწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. ერთ-ერთი მიმართულებაა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორის მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებში/შეჯიბრებებში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებში წარმატებული პროფესიული განათლების მოდელების (ჩემპიონატების და სხვა) აღაპტირებას, პროფესიული განათლების სხვადასხვა მიმართულებით.

ამოცანები	აქტივობის სფერო
5.1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება ევროპული მიდგომების შესაბამისად	<ol style="list-style-type: none"> <li>1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი მიდგომის დანერგვა, რომელიც ასევე მოიცავს საწარმოო პრაქტიკას;</li> <li>2. ხარისხის უზრუნველყოფის გარე (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) და შიდა მექანიზმების (თვითშეფასება) გაუმჯობესება უწყვეტი და სისტემატური ციკლის საფუძველზე: დაგეგმვა, დანერგვა, შეფასება და განახლება;</li> <li>3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;</li> <li>4. მონიტორინგის სისტემების შემუშავება და დანერგვა დამტკიცებული ხარისხის ინდიკატორების საფუძველზე;</li> <li>5. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი კადრების შესაძლებლობების გაძლიერება სისტემისა და დაწესებულებების დონეზე, გარე შემფასებლების ჩათვლით;</li> <li>6. მეთოდოლოგიის, მასალების მომზადება და გავრცელება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით (თვით-შეფასება, აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცედურები).</li> </ol>
5.2. ევროპული გამოცდილების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციები და მათი აღიარება ევროპული გამოცდილების	<ol style="list-style-type: none"> <li>1. პროფესიული კვალიფიკაციების განვითარებისა და განახლების პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შეთანხმებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი მეთოდოლოგიის საფუძველზე;</li> <li>2. პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭების მექანიზმების დახვეწა;</li> <li>3. შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული კვალიფიკაციების განვითარებაზე, განახლებასა და მინიჭებაზე პასუხისმგებელი კადრებისათვის (სისტემისა და დაწესებულებების დონეზე);</li> <li>4. საქართველოს პროფესიული კვალიფიკაციების ევროპულ</li> </ol>

შესაბამისად	<p>კვალიფიკაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;</p> <p>5. არაფორმალური პროფესიული განათლებისა და გამოცდილების, წინმსწრები განათლების, სხვა ქვეყანაში მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარება.</p>
5.3. საქართველოს პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო მობილურობის ხელშეწყობა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მობილობის ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით ევროპული მექანიზმების დაწერვა;</li> <li>2. პროფესიული სტანდარტების, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო მასალების მომზადება საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად;</li> <li>3. უცხო ენის სწავლება პროფესიის მოთხოვნის შესაბამისად;</li> <li>4. პროფესიული განათლების სისტემაში საერთაშორისო ქსელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა მობილობისა და საზღვარგარეთ დასაქმების ხელშეწყობის მიზნით</li> </ol>

შედეგი №. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები მომზადებულები არიან დასაქმებისათვის მათთვის საინტერესო, ღირებულ და სადაც შესაძლებელია მაღალანაზღაურებად პროფესიებში, კარიერის შემდგომი განვითარების და თვითრეალიზაციის პერსპექტივით

პროფესიული განათლების სისტემის ეფექტურობა იმითაც განისაზღვრება, თუ რამდენად საქმდებიან კურსდამთავრებულები ან შეუძლიათ საკუთარი სტაბილური, ადეკვატურად ანაზღაურებადი ბიზნესის დაწყება. ეს ცხადია, დამოკიდებულია საგანმანათლებლო პროგრამების კავშირზე შრომის ბაზართან და საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყების შესაძლებლობებთან. თუმცა დასაქმების თუ თვითდასაქმების პერსპექტივები არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ საქართველოს შრომის ბაზრით. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ უცხოურ შრომის ბაზარზე დასაქმების ან სერვისებისა და პროდუქტების გაყიდვის შესაძლებლობა.

აღნიშნული შედეგი წინა შედეგების ეფექტურ მიღწევაზეა დამოკიდებული: ეფექტური სოციალური პარტნიორობა და შრომის ბაზრის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და დაწერვა (შედეგი 1, 2, 3 და 4) კვალიფიკაციების მინიჭება და აღიარება (შედეგი 5). გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტებს სჭირდებათ საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა მათი შესაძლებლობების თუ ინტერესების შესაბამისად, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობების განაპირება, გარკვეულ პოზიციებზე დასაქმებასა ან/და ბიზნესის წამოწყებაში მხარდაჭერა. საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით პროფესიული სტუდენტები ივითარებენ უნარებს და იღებენ კვალიფიკაციებს, რაც დასაქმება-თვითდასაქმებისათვის არის საჭირო, თუმცა პროფესიული განათლების სისტემამ პროფესიულ სტუდენტებს აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ყველა ეტაპზე: სწავლის დაწყებამდე, სწავლის პროცესში და სწავლის დასრულების შემდეგაც. ვინაიდან კარიერული განვითარებისა და პროფორიენტაციის სისტემა საკმაოდ სუსტია (სკოლებში საერთოდ არ არსებობს), კარიერული განვითარებისა და პროფორიენტაციის სერვისების გაძლიერება სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია განათლების დასრულების შემდგომი კვლევების განხორციელება სტრატეგიისა დანერგვის ეფექტურობის შესაფასებლად. პროფესიულმა საგანმანათლებლო სისტემამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ინოვაციის, შემოქმედებითი უნარისა და მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით და ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლად უნდა იქცეს ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ თუ საერთაშორისო პარტნიორებს შორის. აქტიური კავშირები ინოვაციურ ინდუსტრიებთან, კვლევით ორგანიზაციებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის ახალ ფორმას წარმოადგენს, რაც სტუდენტებს პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში დარჩენისაკენ და პროფესიული ზრდისკენ უბიძგებს.

ამოცანები	აქტივობის სფერო
6.1. კარიერული	1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

განვითარებისა პროფესიული ორიენტაციის სისტემის გაუმჯობესება	და	<p>განმახორციელებელ დაწესებულებებში ეფექტური პროფესიული ორიენტაციის, კარიერის მართვისა და საინფორმაციო სისტემის შექმნა სხვადასხვა ელემენტებს შორის კავშირის გაძლიერებით;</p> <p>2. კარიერული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;</p> <p>3. საინფორმაციო ცენტრებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული ორიენტაციის სერვისების გაუმჯობესება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პერსპექტივების შესახებ ცნობიერების ამაღლება;</p> <p>4. სახელმწიფო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების კადრების (მათ შორის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური კადრების) შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული ორიენტაციის, კონსულტაციისა და ინფორმირების საკითხებთან დაკავშირებით;</p> <p>5. სანდო და რელევენტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა როგორიცაა ბაზრის საჭიროების, კარიერული პერტსპექტივის, ხელფასის, დასაქმების და ა.შ შესახებ - სკოლის მოსწავლეებისათვის, მათი მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის, კერძო სექტორისათვის და ა.შ შესაბამისი ინსტიტუტების საშუალებით;</p> <p>6. მოსწავლეებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის მეწარმეებთან კონტაქტების დამყარებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიღების ხელშეწყობა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით);</p> <p>7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ პროფესიული კურსდამთავრებულების მხარდაჭერა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;</p> <p>8. ბიზნესის დაწყებაში მხარდაჭერა, როგორიცაა დამატებითი კურსების შეთავაზება მცირე ბიზნესის მართვის მიმართულებით.</p>
6.2 ინოვაციის, შემოქმედებითობისა და მეწარმეობის ხელშეწყობა პროფესიული განათლების სფეროში	1.	<p>„ცოდნის პარტნიორობების“ ჩამოყალიბება ინოვაციურ საწარმოებთან, კულტურულ და სპორტულ სექტორებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვ. ახალი შესაძლებლობებისა და კომპეტენციების განსავითარებლად, პროფესიული წარმატებისა და ინოვაციის მისაღწევად;</p> <p>2. მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით დამსაქმებლებთან და ბიზნესთან კავშირის გაძლიერება;</p> <p>3. მექანიზმების ჩამოყალიბება პროფესიული საგანმანათლებლო; დაწესებულებების კურსდამთავრებულთა მიერ ახალი ბიზნესის წამოწყებისა და ახალგაზრდა მეწარმეთა მობილობის მიზნით;</p> <p>4. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ჩართვა საერთაშორისო პროცესებში ინოვაციის ხელშეწყობის მიზნით (მაგ. World Skills International).</p>
6.3. ინფორმაციის შეგროვება	1.	<p>კურსდამთავრებულების სწავლების შემდგომი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემის</p>

<p><b>პროფესიული კურსდამთავრებულების სწავლის დასრულების შემდგომი აქტივობის შესახებ</b></p>	<p>ჩამოყალიბება მათ შორის შშმ და სსსმ პირებისათვის</p> <p>2. კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევების ჩატარება პროფესიული განათლების ეფექტურობის შესასწავლად ან დამატებითი აქტივობების და შესწორებების იდენტიფიცირებისათვის</p>
--	---

**შედეგი N7. პროფესიული განათლება მიმზიდველ და რეალურ საგანმანათლებლო აღტერნატივას წარმოადგენს საზოგადოების ფართო ფენებისათვის; ახალგაზრდებისათვის ის წარმოადგენს სკოლის შემდგომი განათლების მიღების აღტერნატივას, ზრდასრულებისათვის - კარიერის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს და ახალ სპეციალობებში გადამზადების საშუალებას მათთვის, ვისაც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიის შეცვლა სჭირდება**

სტრატეგიის მიზანია პროფესიული განათლების სტატუსის გაუმჯობესება, რომელიც ზოგად და უმაღლეს განათლებასთან შედარებით მეორეხარისხოვნად განიხილება. სტრატეგიის მიზანია პროფესიული განათლება ასევე გახდეს პირის კარიერული განვითარების რეალური და ღირებული გზა. პროფესიული განათლების მიმზიდველობის მაჩვენებელია პროფესიული სტუდენტების დასაქმება (შედეგი 6) და შემოსავლის მიღება. პროფესიული განათლება უნდა განიხილებოდეს არა როგორც მოწყვეტილი, განცალკევებული განათლების სისტემა, არამედ განათლების ერთიანი სისტემის ნაწილი.

პროფესიული განათლების მიმზიდველობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, როგორიცაა: პროფესიული სტუდენტების წარმატებით დასაქმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება (შედეგი 6), ცნობიერების ამაღლების კამპანიების მოწყობა პროფესიული განათლების პერსპექტივებისა და სარგებელის შესახებ, ეფექტური პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტაციის სისტემის ჩამოყალიბება (იხ. შედეგი 6), პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის გამტარიანობის გაუმჯობესება, სხვა საგანმანათლებლო სისტემისადმი წვდომა (ე.წ „ჩიხების აღმოფხვრა“), დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობების გაფართოვება (იხ. შედეგი 6). პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს ისეთი ჯგუფებისთვის, რომლებიც ვერ იღებენ პროფესიულ განათლებას, ან ვერ ახერხებენ სწავლის დასრულებას (იხ. შედეგი 2).

პროფესიული განათლების მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად საჭიროა „ჩიხების“ აღმოფხვრა, რაც ხელს უშლის პროფესიული სტუდენტების გადასვლას განათლების ზედა საფეხურებზე. ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის კავშირის გაძლიერების მიზნით საჭიროა მრავალფეროვანი კურსების შეთავაზება, პროფორიენტაციის ერთიანი სისტემის (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში) შექმნა და ა.შ. ამგვარი ბარიერების აღმოფხვრით შესაძლებელია პროფესიული განათლების განათლების ერთიან სისტემასთან ინტეგრირება.

პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად გავრცელება ინფორმირების, ცნობიერების ამაღლებისა და გააზრების წინაპირობაა. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების მიზანია მთლიანად საზოგადოების და კონკრეტული სეგმენტის მოტივირება; რეგულარულად ჩატარდება სტრატეგიის ფარგლებში ცნობიერების მხარდამჭერი ღონისძიებები. ამგვარი კამპანიები ფოკუსირდება არა მხოლოდ პოტენციურ პროფესიულ სტუდენტებზე, არამედ მათზე, ვისაც კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება უწევთ, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეების მშობლებზე. კამპანიების მიზანი იქნება როგორც სამიზნე ჯგუფების ინფორმირება, ასევე პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის რწმენებისა და დამოკიდებულების შეცვლა.

ამოცანები	აქტივობის სფერო
<p>7.1. პროფესიული განათლების სისტემის</p>	<p>1. ე.წ. საგანმანათლებლო „ჩიხების“ აღმოფხვრა, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა;</p> <p>2. ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის კავშირის გაძლიერება, საგანმანათლებლო პროგრამებში შესაბამისი</p>

<p>გამტარიანობის გაუმჯობესება- პროფესიულ, ზოგად და უმაღლეს განათლებას შორის მოქნილი კავშირი</p>	<p>კურსების/მოდულების ჩართვით ეროვნულ სასწავლო გეგმაში პროფესიული საგნების ინტეგრირება და პროფესულ განათლებასთან ერთად ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა;</p> <ol style="list-style-type: none"> <li>3. პროფესიული სტუდენტებისათვის ძირითადი კომპეტენციების განვითარება, რაც მათ დაეხმარება განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლაში (როგორც პროფესიულში, ისე უმაღლესში);</li> <li>4. ინტეგრირებული საკონსულტაციო სერვისების ხელმისაწვდომობა (დასაქმების მომსახურება და კონსულტაცია) და კარიერის მართვის უნარების განვითარება (როგორც ახალგაზრდების, ასევე ზრდასრულებისათვის);</li> <li>5. განათლების ზედა საფეხურებზე კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის უზრუნველყოფა;</li> <li>6. არაფორმალური განათლების გზით მიღებული კომპეტენციების აღიარების მექანიზმების უზრუნველყოფა.</li> </ol>
<p>7.2 პროფესიულ განათლებაში დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება დამსაქმებლებთან, სხვა სამინისტროებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ. მჭიდრო თანამშრომლობით სხვადასხვა მიდგომებისა (კამპანიების, შეხვედრების, ვიზიტების, სემინარების, კონფერენციების, და სხვა) და მასალების (აუდიო-ვიზუალური, ნაბეჭდი და სარეკლამო) გამოყენებით;</li> <li>2. პროფესიული განათლების პოპულარიზების ხელშეწყობა, წარმატებულ ადამიანებთან ერთად კამპანიების ორგანიზება, უნარ- ჩვევების შეჯიბრებების მოწყობა და სხვა;</li> <li>3. სისტემისა და დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული განათლების ცნობადობის გაზრდის მიზნით;</li> <li>4. პროფესიული განათლების შესახებ კომუნიკაციისა და ინფორმაციის ზეგავლენის მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.</li> </ol>

## დანართები

### დანართი 1. პროფესიული განათლების გარემო

1.1. ახალი სამთავრობო ინიციატივები, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები

#### სამთავრობო პრიორიტეტები.

საქართველოს მთავრობის სამთავრობო პროგრამის „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, მირითადი პრიორიტეტებია: დემოკრატიული განვითარება, კანონის უზენაესობა, მმართველობის დემოკრატიული ფორმებისა და მექანიზმების, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტების ჩამოყალიბება. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ მიზნით, მეწარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული განათლების სისტემის განვითარებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპორტის ხელშეწყობა და ამ მიზნით, არსებულ სავაჭრო პარტნიორებთან ურთერთობების გაღრმავება და ახალ პარტნიორებთან კავშირების დამყარება, საქართველო ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების სარგებლის მაქსიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ ბაზარზე. ასევე მნიშვნელოვანია, აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით მუშაობის გააქტიურება და მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება.

განათლებასთან დაკავშირებული სამთავრობო ინიციატივებია: განათლების სისტემის დეპოლიტიზება, თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება, დაფინანსების გაზრდა და მისი ეფექტური მექანიზმების შემუშავება, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიის უზრუნველყოფა.

**ეკონომიკური ტენდენციები.** 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და რუსეთთან ომის შემდეგ, ქვეყანაში მშპ ზრდა ფიქსირდება; 2009 წელს დაფიქსირებული მშპ-ს მოცულობის კლების (-3.8%) შემდგომ, 2010 წელს, მშპ-ს რეალურმა ზრდამ 6.3%, ხოლო 2011 წელს - 7.2% შეადგინა. 2012 წლის წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის ეკონომიკის ზრდა 6.1%-ია.

საქართველოს საგარეო ბრუნვა დადებითი ტენდენციით ხასიათდება. 2009-2012 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა თითქმის 2-ჯერ გაიზარდა და 10.2 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო ექსპორტის მაჩვენებელი, ამავე პერიოდში, 2.1-ჯერ გაიზარდა და 2.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით („Doing Business 2013“), საქართველომ მე-8 ადგილი დაიკავა 189 ქვეყანას შორის. 2013 წლის „კორუფციის აღჭმის ინდექსის“ (Transparency International) მიხედვით საქართველო 177 ქვეყანას შორის 55 ადგილზეა, რაც დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით საუკეთესო მაჩვენებელია. ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპის მიღწევისათვის საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

**უმუშევრობა:** საქართველოს შრომის ბაზრის ძირითად პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობის მაღალი დონე (ქალაქში 26,2%; საერთო მაჩვენებელი 15,0%, 2012) და დასაქმების დაბალი პროდუქტიულობა სოფლად, რაც საერთო ჯამში ხელს უწყობს სიღარიბის ზრდას (მოსახლეობის 23,6% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს).). უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია თბილისში, სადაც მოსახლეობის 29,1% რეგულარული სამუშაო არ აქვს, აჭარასა (16,4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (16,8%). გასათვალისწინებელია, რომ უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფშია (36,9%). უმუშევრობა საკმაოდ ხანგრძლივია (1 წელზე მეტი), განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მქონე პირებში. უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის

მიუხედავად, დამსაქმებლებს უჭირთ საჭირო კადრების მოძიება მომზადებული კადრების უნარების შესაბამობის გამო.

2008 წლის შემდეგ დასაქმების დონის მაჩვენებელი იზრდება და 2011 წელს წინა წელთან შედარებით 0.6%-ით გაიზარდა. გასათვალისწინებელია ის, რომ დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი (დაახლოებით 70%) პროფესიული განათლების (რაიმე ფორმის) მქონე პირებშია. ამ ჯგუფში უმუშევრობის მაჩვენებელი მხოლოდ 14.0%-ია. გარდა ამისა, პროფესიული განათლების მქონე მოსახლეობას თვით დასაქმების მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე პირებს.

სექტორების მიხედვით, მსხვილ დამსაქმებლებს (საქსტატი, 2012) წარმოადგენს მრეწველობის (დასაქმებულების 21.5%), ვაჭრობისა და რემონტის (21.4%), მშენებლობის (13.1%), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (10.3%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა (9.7%) და ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების (9.2 %) დარგები. მოსახლეობის დიდი ნაწილი ფორმალურად დასაქმებული არ არის, რადგან 50% -ზე მეტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული (თვითდასაქმებული ან ოჯახური მეურნეობა).

**ტექნოლოგიური ტენდენციები.** ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენების საშუალო მაჩვენებელი საქართველოში 50%. ფირმების მხოლოდ 18 % იყენებს შესაძლებლობების 80% ან მეტს (მსოფლიო ბანკი, 2009). ნელი ტემპით ხდება მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა. სამომავლოდ ამ სფეროებში რეფორმების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

## 1.2 საკანონმდებლო ჩარჩო

2005 წლის შემდეგ პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარეობს რეფორმები. ამავე წელს საქართველო შეუერთდა ბოლონის პროცესს, რაც ხელს უწყობს განათლების სისტემის ევროპულ სივრცესთან დაახლოებას. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მთელი რიგი პრიორიტეტებია დეკლარირებული, როგორიცაა: შრომის ბაზართან შესაბამისობა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სოციალური პარტნიორების ჩართულობა, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, ყველა მოქალაქისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა, პირის თვითრეალიზაციისა და სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის ზრდა, საქართველოს პროფესიული განათლების ევროპული განათლების სივრცეში ინტეგრაცია, დაფინანსების ალტერნატიული მოდელების მოსინჯვა (მიზნობრივი პროგრამული, ვაუჩერული) შესაბამისობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით; არაფორმალური პროფესიული განათლებისა და გამოცდილების აღიარება; კვალიფიკაციების აღიარება და ტრანსფერის შესაძლებლობა საქართველოში და საზღვარგარეთ.

თუმცა, გამოწვევები უკავშირდება საკანონმდებლო ინიციატივების დანერგვას, მათ შეფასებას, გაუმჯობესების მექანიზმების ძიებასა და გაუმჯობესებას. საკანონმდებლო ინიციატივების დანერგვისას გამოიკვეთა მთელი რიგი გამოწვევები, როგორიცაა: ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა; მენეჯმენტის, კადრების, პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობები; ბუნდოვანი და ნაკლებად გამჭვირვალე მეთოდები და პოლიტიკის ინსტრუმენტები; არასაკმარისი და არათანამიმდევრული დიალოგი დაინტერესებულ მხარეებს შორის.

სამართლებრივ ჩარჩოში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება პროფესიული განათლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ მოხდება; ეს ხელს შეუწყობს არსებული გამოწვევების დაძლევას და წინამდებარე სტრატეგიის დანერგვას.

პროფესიული განათლების სისტემა ძირითადად ემყარება შემდეგ სამართლებრივ და სტრატეგიულ დოკუმენტებს:

- „პროფესიული განათლების კონცეფცია“ (2005);
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ (2005);
- UN Convention on the Rights of Persons with Disabilities (2006);
- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ (2007);

- „პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 ნოემბრის N203 დადგენილება;
- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ (2010);
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (2010), რომლის შემადგენელი ნაწილია პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
- „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის N8/ნ ბრძანება);
- პროფესიული განათლების 2009-2012 წლების შუალედური სტრატეგია;
- პროფესიული განათლების რეფორმის 2009-2012 წლების შუალედური სტრატეგია, ანგარიში ძირითადი მიღწევებისა და არსებული გამოწვევების შესახებ (ETF, 2012);
- შეთანხმება პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე (2011);
- სახელმწიფო კონცეფცია შშმ პირების სოციალური ინტეგრაციის შესახებ, ეროვნული სამოქმედო გეგმა (2013-2016 სამუშაო ვერსია).

**1.3. პროფესიული განათლების განვითარების ძირითადი ევროპული მიმართულებები**  
 საქართველოს პროფესიული განათლება ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისაკენ მიისწრაფის, რათა ხელი შეუწყოს ადგილობრივი კადრების საერთაშორისო შრომის ბაზარზე გასვლას და მათ დასაქმებას მიღებული კვალიფიკაციების შესაბამისად. იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომელიც შეძლებენ ევროპულ ბაზარზე კონკურენციის გაწევას და დასაქმებას, მნიშვნლოვანია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში თანამედროვე ევროპული მიმართულებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და ასახვა.

ევროკავშირის ქვეყნებში პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები, რომელთაც გავლენის მოხდენა შეუძლიათ საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმაზე, ასახულია ევროპის 2020 სტრატეგიაში, ბრიუგეს კომუნიკეში (ევროპა 2020).

ევროპის 2020 სტრატეგიამ უნდა „უზრუნველყოს განვითარება, რომელიც იქნება: გონივრული, განათლების ეფექტური დაფინანსების, კვლევის და ინოვაციების დანერგვის საფუძველზე; მდგრადი, ეკონომიკის განვითარების საფუძველზე; და ინკლუზიური, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. სტრატეგიას აქვს ხუთი ამზიციური მიზანი დასაქმების, ინოვაციის, განათლების, სიღარიბის დაძლევისა და ენერგიის სფეროში.“ (ევროკავშირისვებ გვერდი, 2012 წლის ივნისი).

ევროპა 2020 სტრატეგია მოიცავს შემდეგ ინიციატივებს:

- მოქნილი განვითარება: ციფრული განვითარება, ინოვაციური კავშირების დამყარება, აქტიური ახალგაზრდობა
- მდგრადი განვითარება: ევროპა - რესურსების ეფექტური მომხმარებელი, ინდუსტრიული პოლიტიკა გლობალიზაციის ერაში
- ინკლუზიური განვითარება: ახალი პროფესიებისა და უნარების სისტემატიზაცია, ევროპული პლატფორმა სიღარიბის დასაძლევად.

ბრიუგეს კომუნიკეს მიხედვით, 2020 წლისთვის ევროპის პროფესიული განათლების სისტემა უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი, რელევანტური, კარიერაზე ორიენტირებული, ინოვაციური, ხელმისაწვდომი და მოქნილი, ვიდრე ის 2010 წელს იყო. სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს საუკეთესო და უმაღლესი ხარისხის განათლების მიღებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ბრიუგეს კომუნიკეს ამოცანაა პროფესიული განათლების სისტემაში პარტნიორების უფრო მეტი ჩართულობა და ევროპული პარტნიორების გამოცდილების გაზიარება, ევროპული და ეროვნული ინსტრუმენტების კოორდინირებული მმართველობა გამჭვირვალეობის, აღიარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და მობილობის თვალსაზრისით.

#### 1.4. საქართველოს პროფესიული განათლების მდგომარეობა

##### 1.4.1. ინსტიტუციური ჩარჩო

საქართველოში პროფესიული განათლების მმართველობა ხორციელდება სამთავრობო სტრუქტურების მიერ. საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს ეროვნულ პოლიტიკას და სტრატეგიებს; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეიმუშავებს და მართავს სექტორულ პოლიტიკას, სტრატეგიებსა და პროგრამებს არსებული ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იუირდიული პირები (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებენ სექტორულ პროგრამებს).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პასუხისმგებლობაა: საკითხების და წინადადებების მომზადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის; სამართლებრივი აქტების პროექტებზე მუშაობა; შუალედური სამოქმედო გეგმის დანერგვის, პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს და მისი თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობის კოორდინირება; ევროკავშირის პროგრამების დანერგვისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების მონიტორინგი; საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობების დაგეგმვა და სხვ.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი ფუნქციაა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარების ხელშეწყობა, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების განხორციელება დამტკიცებული სტანდარტების საფუძველზე, პროფესიული სტანდატების შემუშავების კოორდინაცია და სხვ.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი ფუნქციაა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სტანდარტის შემუშავება, ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ძირითადი მიმართულებაა განათლების სექტორში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, ახალი ელექტრონული მართვის სისტემებისა და ბაზების შექმნა და სხვ.

მონაწილეობითი მმართველობის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდა პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო (2009) შვიდ თემატურ სამუშაო ჯგუფებთან ერთად. საბჭოს დაარსების მიზანია “სოციალური პარტნიორების – სახელმწიფოს, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის საქმიანობის კოორდინაცია”. საბჭოს შემადგენლობის დიდი წილი სამთავრობო სექტორების წარმომადგენლებზე მოდის (24 წევრიდან 12), რაც გადახედვას საჭიროებს.

დღეისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს 18 სახელმწიფო და 78 კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, 26 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 10 სკოლა ახორციელებს. საერთო ჯამში ამ დაწესებულებებში 80-100 განსხვავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლება, ხოლო პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობა 2012 წელს 12 326 იყო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო). სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 574 პროფესიული განათლების მასწავლებლი ასწავლის.

საგანმანათლებლო საქმიანობის მოსაპოვებლად საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტორიზაციის გავლა უწევთ, რაც ხუთი წლის განმავლობაშია ვალიდური. ავტორიზაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დააკმაყოფილონ საგანმანათლებლო პროგრამებთან, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული მინიმალური სტანდარტები. აკრედიტაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურაა, რომლის მიზანია

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. აკრედიტაცია 5 წლის განმავლობაშია ვალიდური.

## დანათი 2 . პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევები

1. სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა სისტემის ყველა დონეზე (შესაბამის სტრუქტურებში), პროფესიული განათლების მთელს პროცესში - დაგეგმვიდან შეფასებამდე.

პროფესიული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი დიალოგის საფუძველზე მძლავრი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება.

სოციალური პარტნიორობის ჩართულობა სისტემის ყველა დონეზე ზოგადად, ნაკლებია. ანალოგიურად, ნაკლებად დაბალანსებულია პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს, დარგობრივი საბჭოების, თემატური სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა. მათ შორის მეტია სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენელთა რაოდენობა და ნაკლები-სოციალური პარტნიორობისა. გამოწვევაა სოციალური პარტნიორობის სისტემაში ჩართვის, მათი მოტივირების უზრუნველყოფა. ნაკლებია პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ჩართულობა პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში სისტემის დონეზე, ხოლო სოციალური პარტნიორების მონაწილეობა - გადაწყვეტილებების მიღების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის პროცესში. ეს ყოველივე გავლენას ახდენს სოციალური პარტნიორების აქტიურობასა და მოტივაციაზე. სოციალური პარტნიორები კრიტიკულად არიან განწყობილები იმასთან დაკავშირებით, რომ სისტემას ეფექტურად შეუძლია შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება, ხოლო პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს დასაქმება მნიშვნელოვან და კარგად ანაზღაურებად პოზიციებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან გასაძლიერებელია კოორდინაცია პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში ჩართულ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს, დონორ ორგანიზაციებსა და არასამთავრებო ორგანიზაციებს შორის. ეს ყოველივე საჭიროებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაძლებლობის გაძლიერებას სექტორის, როგორც მთლიანის (კერძო სექტორის ჩათვლით), მონიტორინგისა და კოორდინირების პროცესში. პრობლემაა მონიტორინგის ერთიანი სისტემის არსებობა (სტატისტიკა, ინდიკატორები და ანალიზი), რაც ხელს შეუწყობდა პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

2. სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სუსტი ქსელი, როგორც გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების მრავალფეროვნების თვალსაზრისით; ქსელი აერთიანებს უმეტესად არასაკმარისი დაფინანსების, ნაკლებად უფექტური მენეჯმენტის, განსხვავებული სტანდარტებისა და ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებს

არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. გარკვეულად წინააღმდეგობრივია მიღება, ერთის მხრივ, გაუმჯობესდეს რეგიონალური დაფარვა, დაკმაყოფილდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, წახალისდნენ ადგილობრივი სტუდენტები და მეორეს მხრივ, სპეციალობები მეტად დაუახლოვდეს პოტენციურ დამსაქმებლებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სხვადასხვა ალტერნატივებზე მუშაობს, როგორიცა კერძო და საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კავშირის გაძლიერება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წახალისების პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან იმ სფეროების შევსება, რასაც კერძო სექტორი ვერ ფარავს, ვინაიდან ფოკუსირებულია გარკვეულ დისციპლინებსა და სპეციალობებზე. ნაკლებად განვითარებული და დაშორებული რეგიონების სტუდენტებისათვის საჭიროა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჩამოაყალიბა „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საჭიროების, მიზანშეწონილობისა და განხორციელების საკითხების შემსწავლელი კომისია“, რომლის

მიზანია რეკომენდაციების შემუშავება ამა თუ იმ რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების საჭიროების შესახებ, არსებული ქსელის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვილობის ხარისხი, შენობების ფიზიკური მდგომარეობა, მათი შესაბამისობა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობასთან; ეს განსაკუთრებით იმ დაწესებულებებს ეხება, სადაც სწავლების დიდი ნაწილი სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში მიმდინარეობს. ამასვე უკავშირდება განსხვევებული ხარისხის, მოცულობის და შესაბამისობის აღჭურვილობისა და მასალების ფლობა. ავტორიზაციის პროცედურა დაწესებულებებისაგან გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილებას მოითხოვს, რასაც შემდგომში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურები მოსდევს; ეს სტანდარტები სწავლებისათვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს აწესებს და უმაღლესი ხარისხის მიწოდებაზე ფოკუსირებული არ არის.

სისტემის ერთ-ერთი გამოწვევაა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა, რაც უმნიშვნელოვანებია სტუდენტების მოსამზადებლად რეალური სამუშაო გარემოს შესაბამისად, თანამედროვე ან მომავალში საჭირო ტექნოლოგიებისა და მოთხოვნების მიხედვით. ბოლო წლებში გარკვეულწილად გაუმჯობესდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, თუმცა ბევრი მათგანი (როგორც საჯარო, ასევე კერძო) კვლავაც არ შეესაბამება ბაზრის ამჟამინდელ თუ სამომავლო მოთხოვნებს; იგივე ითქმის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე, რაც უმნიშვნელოვანებია ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად.

საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების მიუხედავად, სუსტია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კავშირი პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კვლევით ორგანიზაციებთან და სკოლებთან, როგორც განათლების უწყვეტობის (იხ. გამოწვევა 7), ასევე გამოცდილების გაზიარების, შესაძლებლობის გაძლიერების თუ მოსწავლეების ინფორმირების თვალსაზრისით. ქსელური მუშაობის პროცესი არ არის მკაფიოდ სტრუქტურირებული და ინიციატივა ძირითადად გარე უწყებებიდან მოდის. სახელმწიფო და კერძო კოლეჯები დამოუკიდებელ კლასტერებად არიან ჩამოყალიბებულები. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. პროფესიული განათლება თითქმის არ არსებობს სკოლებში. არსებული დაფინანსების ფონზე მცირეა მობილობის შესაძლებლობა.

